საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-29/ნ
2015 წლის 11 აგვისტო

ქ. თბილისი

„მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №51/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №51/ნ ბრძანების (სსმ III, 26.02.2010 წ., №23, მუხ. 310) პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის (მინდობით აღზრდის პროცედურები):

1. **მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის:**

ა) **„ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) იმ პირისა, რომელიც სასამართლომ ცნო მხარდაჭერის მიმღებ პირად ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;";

ბ) **„ბ" ქვეპუნქტის ,,გ.ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ.ზ) ფსიქიკური დაავადებები, რომლის დროსაც ავადმყოფი, არსებული წესების გათვალისწინებით, მიჩნეულია მხარდაჭერის მიმღებ პირად ან შეზღუდულ ქმედუნარიანად;".

2. **მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ ცნო მხარდაჭერის მიმღებ პირად ან აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად;".

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**